Rusudan Ketchakmadze
E.mail:r.kechakmadze@bsu.edu.ge
Associate Professor, Batumi Shota Rustaveli State University,
Georgia, Batumi
orcid.org/0000-0003-1046-7264
Lia Metreveli
E.mail:metreveli.lia@mail.ru
Professor, Georgian Technical University
Tbilisi, Georgia
orcid.org/0000-0003-4392-728X
Shorena Meskhidze
E.mail:shorena.meskhidze@bsu.edu.ge
Assistant, Batumi Shota Rustaveli State University,
Georgia, Batumi
orcid.org/0000-0001-9801-5347
Milena Tavdgiridze
E.mail:milena.tavdgiridze.178@gmail.com
Third year student of psychology,
Batumi Shota Rustaveli State University,
Georgia, Batumi
orcid.org/0009-0004-1975-431X

STUDY OF DEGREE OF CONFORMITY IN STUDENTS OF DIFFERENT SPECIALTIES

Abstract. *A person is a being influenced by the environment, and the study of conformism assists us to find out what kind of influence the social environment can have on an individual and by what mechanisms serve social influences.*

The purpose of our research is to determine how the nature of the social group affects the degree of conformity, and this was influenced by comparing the level of conformity between different professions. Conformism has a significant impact on a whole society, such as small groups within it. With this research, we were able to differentiate how the degree of conformity poles apart in these small groups.

For our study we selected students of Batumi Shota Rustaveli State University, 10-10 from each of 15 professions: Psychology, Business Administration, Georgian Philology, Law, Economics, Medicine, Pedagogy, Mathematics, English Philology, Architecture, Computer Sciences, History, Tourism, Engineering, International Relations. Age: 18, 19, 20, 21, 21 and up. 150 respondents were used in the research, from them – 75 female, 75 male. As an example of research, we took Mehrabian's and Steph's conformity scale. In order to maintain reliability we used the quantitative method, we covered the purpose of the research before conducting it, and introduced it immediately after conducting it. According to these standards we completely secured every norm of ethic codex. The conducted research proved that each group differs in the degree of conformity.

Key words: *conformity, social relationship, social group, difference between professions*
JEL classification: *Y800*

რუსუდან კეჭაყმაძე
E.mail:r.kechakmadze@bsu.edu.ge
ასოცირებული პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი
orcid.org/0000-0003-1046-7264
ლია მეტრეველი
E.mail:metreveli.lia@mail.ru
პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი
orcid.org/0000-0003-4392-728X
შორენა მესხიძე
E.mail:shorena.meskhidze@bsu.edu.ge
ასისტენტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი
orcid.org/0000-0001-9801-5347
მილენა თავდგირიძე
E.mail:milena.tavdgiridze.178@gmail.com
ფსიქოლოგიის სპეციალობის მე-3 კურსის სტუდენტი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
orcid.org/0009-0004-1975-431X

კონფორმულობის ხარისხის შესწავლა სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებში

აბსტრაქტი. *ადამიანი, გარემოსგან გავლენის მიმღები არსებაა, იმის გარკვევაში კი, რა სახის გავლენა შეიძლება მოახდინოს ინდივიდზე სოციალურმა გარემომ და რა მექანიზმებით მოქმედებს თავად სოციალური გავლენები, გვეხმარება კონფორმიზმის შესწავლა.*

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მიზანია დადგინდეს რამდენად ახდენს გავლენას სოციალური ჯგუფის ბუნება კონფორმულობის ხარისხზე, ეს კი განისაზღვრა განსხვავებულ პროფესიებს შორის კონფორმულობის დონის შედარებით. კონფორმიზმს მნიშვნელოვანი გავლნა აქვს როგორც მთლიანად სოციუმზე, ასევე მის შიგნით არსებულ პატარა ჯგუფებზე. აღნიშნული კვლევით შევძელით დიფერენციაცია მოგვეხდინა თუ როგორ განსხვავდება ამ პატარა ჯგუფებში კონფორმულობის ხარისხი.

შერჩეულ იქნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენ-ტები, 15 პროფესიიდან: ფსიქოლოგია, ბიზნეს-ადმინისტრირება, ქართული ფილოლო-გია, სამართალი, ეკონომიკა, მედიცინა, პედაგოგიკა, მათემატიკა, ინგლისური ფილოლოგია, არქიტექტურა, კომპიუტერული მეცნიერებები, ისტორია, ტურიზმი, ინჟინერია, საერთაშორისო ურთიერთობები; თითოეულიდან 10-10. ასაკი: 18-ის ჩათვლით, 19, 20, 21, 21-დან. კვლევაში გამოყენებულ იქნა 150 რესპონდენტის მონაცემი - 75 მდედრობითი, 75 მამრობითი.

კვლევის მაგალითად მეჰრაბიანის და სტეფის კონფორმულობის სკალა ავიღეთ. რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებისას სანდოობის შესანარჩუნებლად კვლევის მიზანი ჩატარებამდე დავფარეთ, ჩატარებისთანავე კი გავაცანით. ამ სტანდარტების გამოყენებით სრულყოფილად დავიცავით ეთიკური კოდექსის ყველა ნორმა.

ჩატარებული კვლევით დადასტურდა, რომ თითოეული ჯგუფი განსხვავდება კონფორმულობის ხარისხით.

საკვანძო სიტყვები: *კონფორმულობა, სოციალური გავლენა, სოციალური ჯგუფი, პროფესიების დიფერენცირება*

JEL კლასიფიკაცია: *Y800*

შესავალი

საკითხის, პრობლემის არსი. კონფორმულობის საკითხის შესწავლა ჩვენთვის საინტერესო გახდა უნივერსიტეტის სივრცეში არსებული ფსიქოლოგიური დახმარების სერვისის შექმნის შემდეგ.

კონფორმულობა არის საკუთარი მოსაზრებების, განსჯის ან მოქმედებების კორექტირება ისე, რომ ისინი უფრო შეესაბამებოდეს (ა) სხვა ადამიანების მოსაზრებას, განსჯას ან ქმედებებს ან (ბ) სოციალური ჯგუფის ან სიტუაციის ნორმატიულ სტანდარტებს (VandenBos, 2015:249).

იმისთვის, რომ ადამიანები იქცნენ კონფორმულებად უნდა გაიარონ „ტრადიციული გზა“, რაც დაკავშირებულია ადამიანების იძულებით მორჩილებასა და ზეწოლასთან, ეს ყოველივე კი გავლენას ახდენს მის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, რაც გამოიხატება დეპრესიით, შფოთვით და გაზრდილი სტრესით. სწორედ აქედან გამომდინარე რასაკვირველია კონფორმიზმი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხია მთელი მსოფლიოსთვის.

ჩვენ კვლევის კონკრეტულ მიზანს კი წარმოადგენს, დავადგინოთ არის თუ არა განსხვავებული კონფორმულობის დონე სხვადასხვა პროფესიის სტუდენტებს შორის და ნათელი მოვფინოთ იმ სავარაოდო მიზეზებს, რომლებიც შეიძლება ამ დიფერენციაციის სათავეში ჩავაყენოთ. აქვე კვლევის მიზნებად დავისახეთ შეგვესწავლა კონფორმულობის ხარისხი, როგორც სხვადასხვა პროფესიის სტუდენტებს შორის, ისე სხვადასხვა სქესის სტუდენტებსა და კურსებს შორის, რაც არანაკლებ აქტუალური და მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის. კვლევის ამოცანას კი წარმოადგენს შერჩევის ჯგუფის განსაზღვრა, სასურველი პროფესიის სტუდენტების გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგად მათი კონფორმულობის ხარისხის გამოანგარიშება.

პროფესია ინდივიდებს შორის განმასხვავებელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, ინდივიდუაციის პროცესი კი, რომელიც უმნიშვნელოვანესია თითოეული პიროვნებისთვის სტუდენტობისას გამორჩეულად მიმდინარეობს. ასე რომ, ჩვენი კვლევა პოულობს კონტრასტული ჯგუფების ჩამოყალიბების საწყისებს სტუდენტობის პერიოდში კონფორმულობის ასპექტში.

ჰიპოთეზა, მიზანი და ძირითადი ამოცანები.

ჩვენი კვლევის მიზანია, შევისწავლოთ ბსუ-ს სხვადასხვა სპეციალობისა და სასწავლო წლის სტუდენტების კონფორმულობის დონე.

კვლევის ამოცანა იყო გაგვეგო:

- მოქმედებს თუ არა გარემო სტუდენტთა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე;
- აქვს თუ არა სტუდენტს ცოდნა კონფორმულობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ;
- აქვს თუ არა გავლენა სხვადახვა პროფესიის დაუფლებას ადამიანის კონფორმულ ქცევაზე და კონფორმიზმის ხარისხზე;

ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად, პროფესიის დაუფლება მოქმედებს სტუდენტის კონფორმულობის დონეზე.

კვლევის მიმდინარეობა და შედეგები

კვლევა ჩატარდა ეთიკის სტანდარტების სრული გათვალისწინებით, იმისთვის, რომ მისი შედეგები ყოფილიყო სანდო, ვარჩიეთ კვლევის მიზანი რესპონდენტებისათვის კველევის ჩატარებამდე ყოფილიყო დაფარული, ჩატარების შემდეგ კი ყოველ რესპონდენტს მიეწოდებოდა სრულყოფილი ინფორმაცია კვლევის მიზანზე.

თითოეულ რესპონდენტს ჰქონდა საშუალება, ანკეტირების თვით ადმინისტრირებულ[1] სახეში მონაწილეობის მიღებამდე გასცნობოდა მის პირობებს, სადაც გადმოცემულია, რომ სრულყოფილად იქნებოდა დაცული მათი კონფიდენციალურობა და მათ არ მოეთხოვებოდათ სახელის, გვარის და სხვა სახის პირადი ინფორმაციის მითითება. თითოეული რესპონდენტი გაეცნო ტექსტს, სადაც მითითებული იყო, რომ მათ ნებისმიერ დროს შეეძლოთ კვლევის შეწყვეტა, თუ კი ჩათვლიდნენ, რომ კვლევა მათ პირად ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ჩვენ მიერ შედგენილ იქნა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვით სხვადასხვა პროფესიის სტუდენტებში კონფორმულობის ხარისხი განსხვავდება.

კვლევის შერჩევის ჩარჩო[2] მოიცავს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს 15 პროფესიიდან კერძოდ: ფსიქოლოგია, ბიზნეს-ადმინისტრირება, ქართული ფილოლოგია, სამართალი, ეკონომიკა, მედიცინა, პედაგოგიკა, მათემატიკა, ინგლისური ფილოლოგია, არქიტექტურა, კომპიუტერული მეცნიერებები, ისტორია, ტურიზმი, ინჟინერია, საეთაშორისო ურთიერთობები. თითოეულიდან 10-10 სტუდენტი. კვლევაში მონაწილეობა 200-მა რესპონდენტმა მიიღო, რომელთაგან ნაწილმა უარი განაცხადა კვლევაში მონაწილეობაზე კვლევის მიზანის გაგების შემდეგ, ნაწილმა კი არასრულყოფილად გასცა პასუხი კითხვარებს,

[1] ანკეტირების სახე, რომლის დროსაც რესპონდენტი დამოუკიდებლად ავსებს კითხვარს, პირობითად ეწოდება თვითადმინისტრირებული.

[2] კვლევის პროცესში შერჩევითი ერთობლიობის განსაზღვრისთვის შერჩევის ჩარჩო გამოიყენება

შედეგად კვლევაში 150 რესპონდენტის მონაცემი იქნა გამოყენებული. 75-მდედრობითი, 75-მამრობითი, რომელთა ასაკობრივი კატეგორია ასე გამოიყურება: 18-ის ჩათვლით, 19, 20, 21, 21-დან.

კვლევა რაოდენობრივი მეთოდით წარვმართეთ რისთვისაც გამოვიყენეთ მეჰრაბიანის და სტეფის კონფორმულობის სკალა, რომელიც შედგება 11 კითხვისგან (დანართი 1), სადაც უკიდურესი არაკონფორმულობის მაჩვენებელია -44 ქულა ხოლო უმაღლესი კონფორმულობის +44 ქულა.

გამოკითხვის შედეგად მიღებულმა მონაცემებმა აჩვენა, რომ კონფორმულობა გამოხატულად არცერთი პროფესიის სტუდენტთან არ ჩანს, თუმცა კონფორმულობისკენ მიდრეკილების ხარისხი ყოველი პროფესიის სტუდენტთა ჯგუფში განსხვავდება (დანართი 1).

საშუალო არითმეტიკულის გამოთვლის შემდგომ დადგინდა, რომ კონფორმულობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევიან სამართლის სტუდენტები -23,9 ქულით, რომელიც -15 პროცენტული მაჩვენებლის ტოლია, კონფორმულობისკენ მიდრეკილების სხვებთან შედარებით მაღალი დონით კი ტურიზმის სტუდენტები -3,8 ქულით (-2%).

დიაგრამა 1.



თვალსაჩინოა, რომ კონფორმულობის ხარისხი თითოეული პოფესიის სტუდენტთა ჯგუფში განსხვავდება, ამიტომ ჩვენ განვიხილავთ, თუ რა შეიძლება იყოს ამ განსხვავების საფუძველი.

კონფორმიზმის ყველაზე დაბალი დონე გამოვლინდა (-23,9) სამართალმცოდნეობის სტუდენტებში. სამართალში ორ ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიას გამოყოფენ: პირველი ესაა კონფორმულობის თეორია, სადაც კანონზე მორჩილება და ეთიკის ნორმების დაცვა კონფორმულობის მაღალ დონესთან იგივდება და მეორე კონფლიქტის თეორია, სადაც იდიოსინკრატულ[3] სანქციებს კი არ იყენებენ ეფექტური ფუნქციონირებისთვის, არამედ ავტორიტეტის სისტემა იყენებს კოდებს, რომელიც თვითმართვაშია ინდივიდის მიერ. ესე იგი, კონფლიქტის თეორიაში სოციუმთან შერწყმა არ არის აუცილებელი იმისთვის, რომ ეფექტური ფუნქციონირება განხორციელდეს. ჩვენს რესპონდენტებში სწორედ ამ თეორიისკენ ტენდენცია იკვეთება.

შემდეგი არის მედიცინა. მასშიც სამართლის შემდეგ კონფორმულობის ყველაზე დაბალი დონეა (-17,4). ჩატარდა კვლევა, სადაც აინტერესებდათ მედიცინის სტუდენტები გამოავლენდნენ თუ არა კონფორმულობას, მაშინ როცა მათი პარტნიორი არასწორ ადგილას უკეთებდა ნემსს მუხლზე ართროცენტეზის[4] პროცესში. დადგინდა, რომ ამ დროს კონფორმულობის დაბალი მაჩვენებელი გამოვლინდა (40%) და სტუდენტთა უმრავლესობამ (60%) სწორი და არაკონფორმული გზა არჩია ნემსის გაკეთებისთვის (Ellaway, 2013:589-596). მედიცინაში კონფორმულობის მაღალ დონეს დამღუპველი შედეგები მოჰყვებოდა. მედიცინისგან დიდად განსხვავებული შედეგები არ იკვეთება ფსიქოლოგიაშიც (-16,5), სადაც კონფორმულობის გამოვლენით თერაპია განკურნებამდე ვერ მიაღწევდა, თუ თერაპევტი მარტივად მიიღებდა კლიენტის მოსაზრებებს, რომელიც უბრალოდ დაცვითი მექანიზმის გამოვლინება იქნებოდა, მაგალითად, განრიდება ან უარყოფა. ასე რომ, გასაგებია, რატომაა სხვებთან შედარებით გამოკვეთილი არაკონფორმულობა ამ ორ პროფესიაშიც.

სტუდენტს, რომელიც ეკონომიკაზე სწავლობს წარმატების მისაღწევად ესაჭიროება არასტანდარტული და კრიტიკული აზროვნების განვითარება (Bazil, 2012:25). კიოსაკი[5] კი წერს, რომ სკოლაში ამის საპირისპიროს ასწავლიან, სადაც განათლების სისტემა გავს ნიანგს, არსებას, რომელიც გადარჩენისთვისაა შექმნილი და არა - შეცვლისთვის, რაშიც იგულისხმება ის, რომ სკოლაში პრიორიტეტული არის გადარჩენაზე ორიენტირება და უკანა ფონზე გადააქვთ ცვლილებები, ვინაიდან გადარჩენისთვის უმრავლესობასთან სინქრონიზაციაა საჭირო. შესაბამისად, ეკონომიკის სტუდენტებს უხდებათ შრომა იმისთვის, რომ ჩამოიყალიბონ არაკონფორმული აზროვნება წარმატების მისაღწევად. როგორც ჩანს, კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა უმრავლესობამ ეს შეძლო კიდეც (-14,9).

[3] იდიოსინკრაზია - ბერძნულიდან სიტყვა პირდაპირ ითარგმნება, როგორც idios "საკუთარი", „თავისებური" synkrasis „შერევა"

[4] ქირურგიული პროცესი, რომლის დროსაც სახსრიდან სითხის ამოტუმბვა ხდება.

[5] რობერტ ტორუ კიოსაკი არის ამერიკელი ბიზნესმენი და ავტორი, რომელიც ცნობილია პერსონალური ფინანსების წიგნების სერიით.

თვალსაჩინოა თუ რატომაა გამოკვეთილი არქიტექტურისა (-10,1) და ინჟინერიის (-8,9) არაკონფორმიზმის თითქმის თანაბარი დონე. საუკუნეების განმავლობაში შენობების ექსტერიერთან[6] ერთად ინტერიერი[7] ვითარდება, იცვლება და მეტად თანამედროვე ხდება.

არქიტექტურისა და ინჟინერიის სტუდენტები კონფორმიზმით მჭიდროდ რომ იყვნენ მოცული, უფრო ზუსტად, ნაცვლად კონფორმულობისა, მეტად კონფორმულნი რომ ყოფილიყვნენ, სავარაუდოა, რომ შენობების გარე თუ შიდა ვიზუალი დღეს არაფრით იქნებოდა, პირობითად, მე-15 საუკუნის არქიტექტურისგან განსხვავებული, რადგან ინდივიდუალური აზრი შეიბოჭებოდა და უკვე არსებულისა და მიღებულის კოპირება განხორციელდებოდა.

საერთაშორისო ურთიერთობები პოლიტიკური მეცნიერებების ერთ-ერთი დარგია. ჩვენი კვლევის შედეგი დასახელებულ სტუდენტებთან არაკონფორმულობის მაჩვენებელია (-8,3), რისი ინტერპრეტირებაც ისტორიის საშუალებით მარტივადაა შესაძლებელი. განვითარების საწინდარი სწორედ რომ არაკონფორმულობაა, რისი მაგალითიცაა ამერიკის რევოლუცია (1775-1783), პირველი თანამედროვე ბრძოლა, სადაც არაკონფორმულობის პოლიტიკური როლი იკვეთება, კერძოდ, იმით, რომ ომი რადიკალური ცვლილებისთვის ხორციელდება. ეს უკანასკნელი კი თავის თავში რევოლუციურ იდეებს ატარებდა და მმართველობის სისტემის რადიკალურად შეცვლას ემსახურებოდა. ამგვარი სწრაფვა იკვეთება გამოკითხულ რესპონდენტებშიც, რომელთა შედეგებიც სხვებთან შედარებით ნაკლებად კონფორმულია და მეტადაა ცვლილებისკენ მიდრეკილი.

ქართული ფილოლოგიის (-7,6), ინგლისური ფილოლოგიისა (-7,4) და პედაგოგიკის (-5,1) შედეგების ერთად განხილვა საერთო პედაგოგიკის ჭრილში, ვფიქრობთ, უკეთეს ვიზუალიზაციაში დაგვეხმარება. თითოეული პროფესიის შედეგი ერთმანეთთან მიახლოებულია და სხვა პროფესიებთან შედარებით მათში კონფორმიზმისკენ მიდრეკილება მკაფიოდაა გამოხატული.

საგანმანათლებლო მოდელთა ნაწილი განათლების მთავარ მიზნად გონებრივი ჰორიზონტის, აზროვნების ჩარჩოებისგან გათავისუფლების, გაფართოებასა და სოციალური „შეზღუდვებისგან“ განთავისუფლებას მიიჩნევს, რაც მათი არაკონფორმულობის მიმანიშნებელია (Siddiqui, 2019), მაგრამ ნაწილი ორიენტირებულია სოციალური უნარების განვითარებაზე, რაც ხელს უშლის ინდივიდუალური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ე. ი. კონფორმულობას (Lemov, 2010). შესაძლოა მივიჩნიოთ, რომ ამ დამოკიდებულების გამო გამოიხატება პედაგოგიკის სტუდენტებში, სხვა სტუდენტებთან შედარებით, სწრაფვა კონფორმულობისკენ.

ფართო განსხვავება აჩვენა კონფორმულობის ხარისხში კომპიუტერული ტექნოლოგიისა (-13,2) და მათემატიკის სტუდენტებმა (-5,7). ორივე არაკონფორმუ-

[6] შენობის, ნაგებობის, გარე ნაწილების მხატვრული ან არქიტექტურული სახე, რომელიც პირველ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე.
[7] შენობის შიდა სივრცე, ექსტერიერის ანტონიმი.

ლია თუმცა სხვადასხვა ხარისხით. 2015 წელს კონფორმულობა მათემატიკის სტუდენტებთან მათემატიკური მოდელებით, კერძოდ, მათმატიკური ფორმულების გამოყენებით შეისწავლეს გამოყეს ორი თანაბარი რაოდენობის ჯგუფი კონფორმულების და არაკონფორმულების, შედეგად კი იხილეს, რომ არაკონფორმულები კონფორმიზმისკენ გადაიხარნენ. ჩვენს კვლევაში მათემატიკოსების არაკონფორმულობა წარმოჩნდა, თუმცა, სხვა სტუდენტებთან შედარებით, კონფორმიზმისკენ მიდრეკილებაც გამოიკვეთა, ამით გარკვეულწილად დასტურდება 2015 წლის კვლევა. რაც შეეხება კომპიუტერულ მეცნიერებებს, სწავლება მიმართულია იმისკენ, რომ სტუდენტებმა შეძლონ შეიმუშაონ პროგრამები, რომლებიც მუდმივად განახლებას დაექვემდებარება, სიახლისკენ, ინდივიდუალიზაციისაკენ ტენდენცია არაკონფორმულობის გამოხატულ მაჩვენებელს ამართლებს, მათემატკოსებთან შედარებით.

დაბოლოს, გვსურს სამი ურთიერთგანსხვავებული პროფესია, სხვადასხვა შედეგებითურთ წარმოგიდგინოთ. ისტორია -12,6, ბიზნეს ადმინისტრირება -7,6, ტურიზმი -3,8. ისტორიაში ხშირად ვხვდებით მაგალითებს არაკონფორმისტებზე ვისაც სამყაროს შეცვლაში დიდი წვლილი მიუძღვის, მაგალითად გალილეო გალილეი, მარი კიური[8] და სხვა. ამიტომ ამ სამ პრფესიას შორის გასაგებია ისტორიკოსები მეტად რატომ არიან გადახრილი არაკონფორმულობისკენ. ბიზნესში კონფორმიზმისკენ მიდრეკილება მომხმარებლების მიერ პროდუქტებით დაინტერესების შანსებს ამცირებს ამიტომაცაა არაკონფორმიზმი გამოკვეთილი. რაც შეეხება ტურიზმს, მოგვეხსენება, რომ იგი მნიშვნელოვანწილად უკავშირდება კულტურას, ამიტომაც, ნაკლებად გასაკვირია, თუ რატომ იღებს იგი (ტურიზმი) მონაწილეობას პიროვნების იდენტობის ფორმირებაში და რატომაა ერთფეროვნებისა და არსებული ტაბუს წესების მიმყოლი. მივიჩნევთ, რომ ჩატარებულ კვლევაში კონფორმიზმისკენ მიდრეკილება გამოკვეთილად ტურიზმის სტუდენტებთან სწორედ ამ მიზეზით გამოიხატება.

კონფორმულობის ხარისხი კურსებსა და სქესთა შორის

ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია სქესთა შორის კონფორმულობის ხარისხის შედარება, ამიტომ ეს საკითხიც ვიკვლიეთ, რის შედეგადაც მივედით დასკვნამდე, რომ სქესთა შორის მხოლოდ უმნიშვნელო განსხვავებაა კონფორმულობის დონეზე, კერძოდ, გოგონები შედარებით უფრო იხრებიან კონფორმულობისკენ (-10,1) ბიჭები კი უფრო არაკონფორმულები არიან (-10,5). არცერთი სქესი არ ავლენს გამოხატულ კონფორმულობას, მათ არაკონფორმულობის თითქმის თანაბარი დონე აღენიშნებათ.

[8] ფიზიკოსი და ქიმიკოსი საფრანგეთიდან, რომელმაც ჩაატარა კვლევა რადიოაქტიურობის შესახებ. ის იყო პირველი ქალი, რომელმაც მიიღო ნობელის პრემია, პირველი ინდივიდი, რომელმაც ორჯერ მიიღო ნობელის პრემია და ერთადერთი პიროვნება, ვინც ნობელის პრემია ორ მეცნიერულ სფეროში მიიღო.

დიაგრამა 2.



ნათელია, რომ სქესთა შორის განსხვავება ნაკლებად რადიკალურია, კურსთა შორის განსხვავებისგან. კვლევამ ცხადყო, რომ კურსის მატებასთან ერთად იზრდება კონფორმულობის დონეც, რომლის ვიზუალიზაციაც ასეთია: პირველი კურსი -10,2; მეორე კურსი -9,8; მესამე კურსი -8,2; მეოთხე კურსი -7,3. კვლევაში ზრდადობისკენ მიდრეკილება კონფორმულობისკენ მიდრეკილების ტოლფასია.

შესამჩნევია კონფორმიზმისკენ მიდრეკილების ზრდა მომდევნო კურსთან ერთად.

დიაგრამა 3



არაერთი ფაქტორი განაპირობებს სტუდენტებში კონფორმულობის დონის ზრდადობისკენ მიდრეკილებას. სტუდენტები იწყებენ მშობლებისგან განცალკევებით ცხოვრებას, რაც ხელს უწყობს მათ დაახლოებას მეგობრებთან. სტუდენტების უმრავლესობა კი ობიექტურად ვერ აფასებს სიტუაციას, თავიანთი მეგობრების განსჯის გამო (Lesia, 2015:6). გვაქვს მეორე შემთხვევაც, რომლის მიხედვითაც

სტუდენტის კონფორმულობისკენ მიდრეკილებას განაპირობებს სირცხვილის გრძნობა (Kiener, 2014:36). ემოცია, როგორიცაა სირცხვილი ჩნდება, როდესაც ინდივიდები გრძნობენ, რომ მათ დაარღვიეს თავიანთი ჯგუფური ნორმა. საკუთარი ქცევის ცვლილება, რომელიც ჯგუფში მოქმედი წესების დაცვით ხორციელდება, არის გზა, რომ ჯგუფის მხრიდან უარის თქმა და გარიყვა აცილებულ იქნეს. დევიაცია[9] უხერხულობას იწვევს, რასაც ცალკეული პირები გაურბიან. მესამე მიზეზით კი კონფორმულობისკენ სვლა განპირობებულია გაურკვეულობის თავიდან არიდებით, რომელიც ჩნდება, როცა ინდივიდს განსხვავებული მოსაზრება უჩნდება ჯგუფისგან. სიმართლის ძიებისას ინდივიდი არჩევს სხვა პირებზე კითხვის დასმას, რაც საკუთარი აზრის შეცვლას იწვევს და სხვების მოსაზრებების გაპრიორიტეტებას. ეს ხდება რადგან სოციალური ჭეშმარიტება უფრო მაღალია, ვიდრე ინდივიდუალური ჭეშმარიტება (Moscovici, 2004:270).

დასკვნა

ჩვენ მიერ შესწავლილ სტუდენტთა სამიზნე ჯგუფებში გამოვლინდა კონფორმიზმისკენ მიდრეკილების სხვადასხვა დონე, რითიც გამართლდა კვლევის ჰიპოთეზა, რომ სხვადასხვა პროფესიის სტუდენტებში კონფორმულობის ხარისხი განსხვავდება.

საინტერესო იყო ფაქტი, რომ უნივერსიტეტში სწავლის პროცესში სტუდენტთა მიდრეკილება კონფორმულობის მიმართ იზრდება, თუმცა გამოხატულად კონფორმიზმი არცერთ პროფესიაში არ ვლინდება, თუმცა, მიუხედავად ამისა, საჭიროდ ჩავთვალეთ, ყურადღება ცალკე გაგვემახვილებინა ტურიზმის სპეციალობაზე, რომელშიც ყველაზე ნაკლები არაკონფორმულობა გამოვლინდა. ჩვენს კვლევაში ასევე დასტურდება, რომ მდედრობით სქესსა და მამრობით სქესს შორის კონფორმულობის მიხედვით მხოლოდ უმნიშვნელო განსხვავება იკვეთება, რაც იმის მანიშნებელია, რომ კონფორმიზმი ნაკლებად, ან საერთოდაც არ განისაზღვრება სქესის მიხედვით. ასევე, სასურველია აღვნიშნოთ, რომ კვლევის მიმდინარეობის პროცესში წავაწყდით ისეთ სირთულეებს, როგორიცაა რესპონდენტების უარი კვლევაში მონაწილეობაზე საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, რისი მიზეზებიც ზემოთ იქნა განხილული.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა შეიძლება იქცეს საწყისად სხვა მნიშვნელოვანი კვლევების ჩატარებისთვის, რომელთაც შეუძლიათ ნათელი მოფინონ იმ ფაქტებს, თუ რა არის საფუძველი სხვადასხვა პროფესიის სტუდენტებში სხვადასხვა დონით კონფორმულობის და როდის შეიძლება შეუქმნას კონფორმულობამ დაბრკოლება ამა თუ იმ დარგის ჯერ სტუდენტებს მოგვიანებით კი სპეციალისტებს.

[9] აღნიშნავს იმ ქცევას, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოებაში აღიარებულ ნორმებთან. რობერტ მერტონს მიაჩნია, რომ დევიატური ქცევა ჩნდება, როცა საზოგადოებაში აქცენტირებული მიზნების მიღწევა სოციალურად დაუშვებელი ხდება.

ლიტერატურა/REFERENCES

[1] VandenBos G. R., Washington, DC, 2007, "APA Dictionary of Psycology", 2nd ed, Editors: American Psychological Association;
[2] R. Salbu S., (1992) "Law and Conformity, Ethics and Conflict: The Trouble with LawBased Conceptions of Ethics", Indiana law journal, Texas;
[3] Coleman S., (2007) "Popular Delusions: How Social Conformity Molds Society and Politics", Cambria Press, U.S.A,;
[4] George Serban, „The Mask of Normalcy: Social Conformity and its Ambiguities", Transaction publishers, New brunswick (U.S.A) and London (U.K), 2014;
[5] Leon Bazil, "Bussinas Games for Management and Economics: Learning by Playing", World Scientific Publishing Company, U.S.A, 2012;
[6] Paul Brest, Linda Hamilton Krieger, "Problem Solving, Decision Making, and Professional Judgment: A Guide for Lawyers and Policymakers", Oxford University Press, U.S.A, 2010.

დანართი 1

ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემები

-23,9	სამართალმცოდნეობა
-17,4	მედიცინა
-16,5	ფსიქოლოგია
-14,9	ეკონომიკა
-13,2	კომპიუტერული მეცნიერებები
-12,6	ისტორია
-10,1	არქიტექტურა
-8,9	ინჟინერია
-8,3	საერთაშორისო ურთიერთობები
-7,6	ქართული ფილოლოგია
-7,5	ბიზნეს ადმინისტრირება
-7,4	ინგლისური ფილოლოგია
-5,7	მათემატიკა
-5,1	პედაგოგიკა
-3,8	*ტურიზმი*